საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N2024 2022 წლის 4 ნოემბერი ქ. თბილისი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის გრანტის მიღებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-100 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად, მიეცეს თანხმობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტს, საკუთარი უფლებამოსილების განსახორციელებლად საქართველოში იაპონიის საელჩოსგან მიიღოს გრანტი არა უმეტეს 61 864.41 აშშ დოლარის (სამოცდაერთი ათას რვაას სამოცდაოთხი აშშ დოლარი და ორმოცდაერთი ცენტი)/აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში ოდენობით, პროექტის – „ხარაგაულის მუნიციპალიტეტისთვის მძიმე ტექნიკის შეძენა კატასტროფებისადმი რეაგირებისა და რისკის შემცირებისთვის“ განსახორციელებლად.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**